საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ბრძანება

თბილისი

MES 9 22 0000821306

20/07/2022

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის X კლასის „ისტორიისა“ და „საქართველოს ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტებისათვის გრიფის მინიჭების შესახებ

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ[9]“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილისათვის - თამარ მახარაშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 19 ივლისის N819923 ბრძანების, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და ,,ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა/პირებთა (რომელიც/რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს/წარუდგენენ გრიფირების განაცხადს კონკრეტული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების თხოვნით) საჩივრების მიღებისა და განხილვის მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 16 მაისის N492248 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი დროებითი კომისიის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2022 წლის 19 ივლისის N818835 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს გრიფი ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სახელმძღვანელოების მაკეტებს.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
მინისტრის პირველი მოადგილე
მახარაშვილი თამარ